



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1467
08/08/2018

ქალაქი ბათუმი

1467-05-4-201808081521



მადონა სამნიძის - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის - შესყიდვების განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის ქალაქ თბილისში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს - 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და მადონა სამნიძის 2018 წლის 08 აგვისტოს №2288-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. მადონა სამნიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - შესყიდვების განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი, მივლინებული იქნეს ქალაქ თბილისში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით, 2018 წლის 09 აგვისტოდან 10 აგვისტოს ჩათვლით.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) უზრუნველყოს სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება.

3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა